ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4295534

ნომერი: AR1644878

თარიღი : 16.11.2018

გაცემის თარიღი : 07.12.2018

გაცნობის თარიღი : 08.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მექანიზაციის ქუჩა N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იური სულაბერიძე პ/ნ 55001006549
- გვაზაურის 2 ბინა 46

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3953712 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018

წლის 16 ნოემბერს NAR1644878 განცხადებით მომართეს იური სულაბერიძემ და იმედა აფციაურმა და მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3953712 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3953712 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, მექანიზაციის ქუჩა N1-ში, კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.069) არსებული შენობა–ნაგებობების (შენობა N1/2, N2/1; N3/1; N6/1; N7/1 და N8/1) დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 10 მაისიდან 2018 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით. სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3953712 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შპს "ერთობა +" (204549836).
სამსახურის მონაცემთა ბაზებში ფიქსირდება იური სულაბერიძის 2018 წლის 30 ნოემბრის AR1644879 განცხადება არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე. აღნიშნულ განცხადებზე წარმოდგენილი კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულია არსებული შენობების სრული დემონტაჟი.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N892017144067, მომზადების თარიღი: 28/11/2017 13:47:37) მექანიზაციის ქუჩა N1-ში, N01.12.12.002.069 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "ერთობა +" (204549836). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადების რეგისტრაცია - B18031562, მომზადების თარიღი: 21/03/2018 14:57:44) შპს „ერთობა +“-ის (204549836) დირექტორია იმედა აფციაური (პ/ნ 01019009982), რომელიც დარეგისტრირებულია თანაგანმცხადებლად.
განმცხადებლების მიერ წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის, დღევანდელი მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.
განმცხადებლების განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად დემონტაჟის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვენ სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3953712 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.
"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, ვინაიდან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ აქვს ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე დემონტაჟის განხორციელების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა, სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3953712 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს იური სულაბერიძის და იმედა აფციაურის 2018 წლის 16 ნოემბრის NAR1644878 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3953712 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.